



საარჩევნო სიახლენი IV (10 - 20 მაისი)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება აგრძელებს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენის“ მეოთხე გამოშვებაში წარმოგიდგინთ 2010 წლის, 20 მაისისთვის არსებულ მონაცემებს.

საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებელთა რეგისტრაცია

მოცემული პერიოდისათვის საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია დასრულებულია. სადამკვირვებლო ორგანიზაციათა დარეგისტრირების ბოლო ვადა იყო 20 მაისი. ამ დროისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა 31-მა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ:

1. ა.ა.ი.პ. „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“
2. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“
3. ფონდი „ინვალიდთა დახმარების ასოციაცია“
4. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
5. სამართლებრივი განვითარების საზოგადოება
რეგისტრირებული კავშირი „საერთაშორისო გამჭვირვალობა“
6. რეგისტრირებული კავშირი „დემოკრატიის ცენტრი“
7. ასოციაცია (კავშირი) "მშვიდობისა და განვითარების აკადემია"
8. საზოგადოება "ბათუმელი"
9. საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“
10. „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია“
11. „თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია“ (თგუდა)
12. რეგისტრირებული კავშირი „ჯანმრთელი სამყარო“
13. კავშირი „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“
14. რეგისტრირებული კავშირი „თავისუფალი არჩევანი“
15. კავშირი „ევროპასთან თანამშრომლობის საზოგადოება“
16. კავშირი „ევრაზიის საერთაშორისო თანამეგობრობა“
17. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი „დემოკრატიისა და თავისუფლების ცენტრი“
18. კავშირი „საქართველოს არასამთავრობო სექტორის და მთავრობის ურთიერთობათა“

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



განვითარების ეროვნული ცენტრი"

19. საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი
20. ადამიანთა უფლებების დაცვისა და დახმარების საერთაშორისო კავშირი „ნდობა"
21. რეგისტრირებული კავშირი „ახალგაზრდული რესპუბლიკური ინსტიტუტი (YRI)"
22. რეგისტრირებული კავშირი "ახალგაზრდული მოძრაობა - ჩვენი თაობა"
23. ასოციაცია ქართველ სომეხთა გაერთიანება "ნორ სერუნდ"
24. „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება"
25. „ადამიანის უფლებათა ცენტრი"
26. ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება"
27. "საზოგადოებრივ ინიციატივათა ალიანსი"
28. "საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო"
29. „ახალგაზრდობა მომავლისათვის"
30. „ეკონომიკურ დანაშაულთან, კორუფციასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის კავშირი"
31. „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის".

და 22-მა საერთაშორისო ორგანიზაციამ:

1. „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი (უსეც)" (მხოლოდ # 24 დმანისის საარჩევნო ოლქში);
2. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს ეროვნული სექცია"
3. „ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი"
4. ბრიტანეთის საელჩო საქართველოში
5. „საერთაშორისო შრომის სოლიდარობის ამერიკის ცენტრი"
6. „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი" (IFES)
7. „ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო"
8. "ესტონეთის საელჩო საქართველოში"
9. საფრანგეთის საელჩო
10. „ევროკავშირის სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის ოფისი"
11. „ევროკავშირის ევროპული კომისია"
12. სახელმწიფო ინსტიტუტი "ადმოსავლეთ ევროპის სწავლების ცენტრი"
13. "ბალტიის და შავი ზღვის ალიანსი"
14. „აშშ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი" (IRI)
15. „იტალიის საელჩო საქართველოში"
16. „ბელორუსიის რესპუბლიკის რესპუბლიკური რეფერენდუმებისა და არჩევნების ჩატარების ცენტრალური კომისია"
17. „ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათ კონგრესი"

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

18. „ბულგარეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია“
19. „ლატვიის ცენტრალური საარჩევნო კომისია“
20. „უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისია“
21. „სომხეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია“
22. „შეერთებული შტატებისა და კავკასიის ასოციაცია დემოკრატიისა და მშვიდობისათვის“.

საარჩევნო ადმინისტრაცია

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში „სამართლიანი არჩევნების“ 73 გრძელვადიანი დამკვირვებელი აკვირდებოდა წინასაარჩევნო პერიოდს საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში, ორგანიზაციის ერთი დამკვირვებელი - საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში (10-20 მაისი) ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიმდინარეობდა: 1. პოლიტიკური სუბიექტებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი განცხადება/საჩივრების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ცესკოში შვიდა სულ 18 განცხადება/საჩივარი¹; 2. საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის დამატებითი თანხის გამოყოფაზე მსჯელობა და შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება. საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსებისთვის გამოიყო დამატებითი 200 000 ლარი, რომელიც თანაბრად გადანაწილდება ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაზე. 3. ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეგისტრაციაში გატარება; 4. ბიულეტენების ბეჭდვის პროცესის დაწყება. გამჭვირვალობისთვის, ცესკომ ყველა სადამკვირვებლო ორგანიზაციას შესთავაზე ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე დაკვირვება. ბეჭდვის პროცესი წარმოებს 6 სტამბაში, ესენია: „პოლიტრანსი“, „საარი“, „მკვ“, „ქეჩერა“, „კაბადონი+“ და „სტამბა ქომი“².

არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-20 დღე³ იყო ბოლო ვადა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო ბიულეტენში საკრებულოს მაჟორიტარული არჩევნებისთვის საჭირო მონაცემების (კანდიდატების რიგითი ნომერი, სახელი, გვარი, წარმდგენი პარტია/საარჩევნო ბლოკი) შესატანად. შესაბამისად, 10 მაისს ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ დაასრულა საარჩევნო ბიულეტენებში აღნიშნული მონაცემების შეტანა.

საარჩევნო ადმინისტრაციის ეთიკის კოდექსი

15 მაისს, 13:00 საათზე, ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა საქართველოს მასშტაბით ერთდროულად ხელი მოაწერეს ეთიკის კოდექსს. ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა და წევრებმა ეთიკის კოდექსზე ხელის მოწერისას დაადასტურეს, რომ

¹ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით www.cec.gov.ge

² „სამართლიანი არჩევნები“ არ აკვირდება სტამბებში ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს

³ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 122, პუნქტი 3

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

იხელმძღვანელებენ კანონით და პატივს სცემენ მას. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით ეთიკის კოდექსს ხელი მოაწერა სულ 48 064 საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელმა⁴.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა 15-16 მაისს გადაამოწმეს, მოეწერა თუ არა ხელი ეთიკის კოდექსს ყველა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ. შედეგად, საქართველოს მასშტაბით კოდექსზე ხელი არ მოუწერიათ კომისიების წევრებს „საქართველოს ლეიბორისტული პარტიდან“. ამასთან, გაირკვა, რომ გადაამოწმებული 515 საარჩევნო უბნიდან ეთიკის კოდექსი გამოიკრა 462 საარჩევნო უბანში. მონიტორინგის განხორციელებისას კოდექსი გამოკრული არ იყო 49 საარჩევნო უბანში. 15 მაისს, ეთიკის კოდექსზე ხელი არ მოუწერია **# 14 დედოფლისწყაროს**, **# 63 აბაშისა** და **# 70 ფოთის** საოლქო საარჩევნო კომისიების, საუბნო საარჩევნო კომისიათა წევრებს.

ამომრჩეველთა სიები

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა საქართველოს მასშტაბით, საოლქო საარჩევნო კომისიებიდან გამოითხოვეს საარჩევნო ოლქის შემადგენლობაში იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელთაც: 1. პირადობის მოწმობებში უწერიათ „მისამართის გარეშე“; 2. ბინის მესაკუთრეთა განცხადების საფუძველზე გაუუქმდათ რეგისტრაცია; 3. ცესკოს 2 მაისის დადგენილების საფუძველზე თავიდან გაიარეს რეგისტრაცია შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, 2010 წლის 30 მაისის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

საარჩევნო ოლქებიდან მოწოდებული ინფორმაციით, უმისამართო ამომრჩეველთა (პირადობის მოწმობაში უწერიათ „მისამართის გარეშე“) საერთო რაოდენობა არის **41 884**, რეგისტრაციიდან მოხნილ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა - **11 470**, ხოლო ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელთაც თავიდან გაიარეს შესაბამის ოლქებში რეგისტრაცია - **189**.

საარჩევნო კამპანია

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები/მათი მაჟორიტარი კანდიდატები და მერობის კანდიდატები აწარმოებდნენ წინასაარჩევნო კამპანიას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე დიდი აქტივობით გამოირჩეოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“, ალიანსი საქართველოსთვის“.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს არცერთ საარჩევნო ოლქში არ შექმნია პრობლემა წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის განხორციელებაში საარჩევნო სუბიექტების მხრიდან, გარდა **# 69 ჩხოროწყუს** საარჩევნო ოლქისა, სადაც უმეტესი პარტიის მაჟორიტარმა კანდიდატებმა ორგანიზაციის გრძელვადიან დამკვირვებელს განუცხადეს, რომ მათი ამომრჩეველთან შეხვედრის განრიგი არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

⁴ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით

http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=6558



სამართლიანი არჩევნები

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა შემდეგი ფაქტები:

ზეწოლა

60ოზუ რგეთის საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიაში 14 მაისს შევიდა სოფელ მელექედურში მცხოვრების, ეროვნული საბჭოს აღნიშნული სოფლის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის ნაზი სალუქვაძის განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქალბატონზე განხორციელდა სიტყვიერი ზეწოლა სატელეფონო საუბრის დროს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მამია ბარამიძის მიერ. განცხადებასთან ერთად ოლქში წარმოდგენილი იყო აღნიშნული სატელეფონო ჩანაწერი, სადაც დაფიქსირებულია ზეწოლის დამადასტურებელი საუბარი. განხილვის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ იქნება დადასტურებული ფაქტები, მოახდენენ შესაბამის რეაგირებას. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ შესაბამისად არ გამოიძია აღნიშნული ფაქტი და ტენდენციური გადაწყვეტილება მიიღო.

1ზილნაღის საარჩევნო ოლქის **# 25 ზემო მაღაროს** საუბნო საარჩევნო კომისიის რესპუბლიკური პარტიის მიერ დანიშნულ წევრზე განხორციელდა მუქარა, ამავე კომისიის თავმჯდომარის მხრიდან. მუქარის მიზეზი იყო უზუსტობები ამომრჩეველთა სიაში (**# 26 მაღაროს** საარჩევნო უბნის **126** ამომრჩეველი შეყვანილი იყო **# 25 მაღარო საარჩევნო** უბნის ამომრჩეველთა სიაში), რომელიც კომისიის წევრმა აღმოაჩინა. კომისიის თავმჯდომარემ, აღნიშნულ კომისიის წევრს აუკრძალა აღმოჩენილი უზუსტობების გახმაურება.

#12 გურჯაანის საარჩევნო ოლქში მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი თამაზ აბრამიშვილი, რომელიც (იმყოფება შვებულებაში) ასევე იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გურჯაანის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელი, ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის გამო, შტაბიდან დაითხოვეს. თამაზ აბრამიშვილმა, კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტს თამარ კვირიაშვილს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელი შეუშალა. ჟურნალისტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბიდან გამოსულ საჯარო მოხელეებს იღებდა, რომლებიც შვებულებაში არ არიან გასულები, როდესაც თამაზ აბრამიშვილმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ადგილო ჰქონდა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მცდელობას. ჟურნალისტი იძულებული გახდა პარტიის საარჩევნო შტაბის მიმდებარე ტერიტორია დაეტოვებინა. „მანამდე მოვახერხე და გადავიღე, გამგეობის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლელა ჯავახიშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბიდან როგორ გამოვიდა. ამასთან, შტაბის ოფისთან იდგნენ სახელმწიფო კომპანიების საკუთრებაში არსებული მანქანები, რომლითაც კანდიდატები დღემდე სარგებლობენ. დაინახეს, რა რომ ეს ფაქტები დავაფიქსირე, გადაღების გაგრძელების საშუალება აღარ მომცეს“, - აღნიშნავს თამარ კვირიაშვილი. ფაქტის გადამოწმებისათვის „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორი შეხვდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის უფროსს კახა მოსულიშვილს, რომელმაც დაადასტურა ინციდენტის ფაქტი და განაცხადა, რომ ინციდენტს

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

პირადი საფუძველი ედო. გელა მთივლიშვილი (საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი) გამორიცხავს ინციდენტიში პირად მოტივს, რადგან ჟურნალისტს არანაირი ურთერთობა აკავშირებს თ.აბრამიშვილთან. „სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს ყველა საარჩევნო სუბიექტს, პატივი სცეს თავისუფალ მედიას და არ დაუშვას მათ წარმომადგენლებზე ზეწოლა.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

ჭაკის საარჩევნო ოლქში, **ქ. ჭავჭავაძის # 24** მისამართზე არსებული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბი. მართალია ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი განაგრძობს მუშაობას, თუმცა, შტაბის განთავსების გამო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი არ ფუნქციონირებს. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის განცხადებით, სამკითხველო დარბაზი აღდგება და განაგრძობს ფუნქციონირებას არჩევნების დასრულების შემდეგ. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი შეეცადა გაერკვია, რა სახის დოკუმენტით იყო დარეგულირებული ბიბლიოთეკის შენობაში საარჩევნო შტაბის გახსნა და იყო თუ არა გაფორმებული ხელშეკრულება ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის. ამ ეტაპისათვის ამის დადგენა ვერ მოხერხდა, თუმცა ორგანიზაცია ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას მოგვიანებით მიაწვდის საზოგადოებას. ამასთან, „სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს საარჩევნო ადმინისტრაციას, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მოიკვილოს აღნიშნული ფაქტი.

1ხმეტის საარჩევნო ოლქში აწყურის საჯარო სკოლაში განთავსებულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბი. ამავე სკოლაში განთავსებულია **# 9** საარჩევნო უბანი. სკოლის დირექტორი არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი სოფელ ხოდაშენში, რომელიც სოფელ აწყურთან ერთად ერთი მაჟორიტარული ოლქია. სკოლის დირექტორი ჩართულია წინასაარჩევნო კამპანიაში, ხოლო დირექტორის მოვალეობას სკოლაში ასრულებს მუნიციპალიტეტის გამგეობის აპატარის უფროსის მამა. საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი იბარებს სკოლის მასწავლებლებს და მოუწოდებს მათ მხარი დაუჭირონ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ და მის კანდიდატს.

52 ბაღდათის საარჩევნო ოლქში ეროვნული საბჭოს ადგილობრივი ოფისის ხელმძღვანელის ზ. ენდელამის განცხადებით, სოფელ პირველ ობჩაში ტრაქტორს, რომელიც ამუშავებს ადგილობრივი მოსახლეობის მიწებს, დაყვება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი თ. ნემსაძე, რომელიც აცხადებს, რომ ტრაქტორი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან“ გამოეყო სოფელს. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი არ არის აღნიშნული პარტიის მომხრე, მისი მიწა დაუმუშავებელი რჩება. ფაქტს ადასტურებს ეროვნული საბჭოს მაჟორიტარი კანდიდატი ამავე სოფელში - როზეტა პატარიძე, რომლის ეზოდან პირდაპირ გაიყვანეს ტრაქტორი და არ დაამუშავებინეს მისი კუთვნილი მიწა. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა **# 54 სამტრედიის** საარჩევნო ოლქში, თუმცა აღსანიშნავია, რომ აქ ადგილობრივი მოსახლეობა ერიდება აღნიშნულ ფაქტზე საუბარს.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

44 მბროლაურის საარჩევნო ოლქში მაისის დასაწყისში “ეროვნულმა საბჭომ“ მიმართა (სიტყვიერად) ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელს (ამჟამად მაჟორიტარი კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“) სკოლის შენობის წინასაარჩევნო შეხვედრის ჩატარების მოთხოვნით. რესურსცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არც ერთი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრები სკოლებში არ ჩატარდება. მიუხედავად ამისა, 13 მაისს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი კანდიდატი კ. ფანჯარაძე # 2 საჯარო სკოლის პედაგოგებს შეხვდა საჯარო სკოლის ეზოში. შემდეგ კი ამ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეხვედრა ჩატარდა მხოლოდ სკოლის ეზოში და არა თავად სკოლის შენობაში. აღსანიშნავია, რომ სკოლის ეზო, ამავე სკოლის კუთვნილებაა და მისი გამიჯვნა სკოლის ტერიტორიიდან არ არის მართებული.

5 წყალტუბოს საარჩევნო ოლქში რესპუბლიკური პარტია დაუკავშირდა „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელს და აცნობა რომ **# 50 ჩუნების** საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე განთავსებულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბი. კოორდინატორის მიერ გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ ფაქტის გახმაურების შედეგად პარტიამ აღნიშნული ფართი დატოვა. ორგანიზაციის წარმომადგენელი 14 მაისს მივიდა საარჩევნო უბანზე (17:30 საათი) და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს მოსთხოვა სარეგისტრაციო ჟურნალის ჩვენება, რაზედაც კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სარეგისტრაციო ჟურნალი არ იყო საარჩევნო უბანში და ის წაღებული ქონდა კომისიის მდივანს სახლში. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედებით საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა გადაამეტა თავის უფლებამოსილებას. ამასთანავე, სახეზეა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება, რაც იწვევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დისციპლინურ პასუხისმგებლობას საქართველოს „საარჩევნო კოდექსის“ 39-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 37¹-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რადგან საქართველოს „საარჩევნო კოდექსის“ 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ეკისრება სრული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საუბნო საარჩევნო კომისიაში და ამასთანავე, იგი პირადად აგებს პასუხს საარჩევნო დოკუმენტაციის (მათ შორის სარეგისტრაციო ჟურნალის) შენახვაზე.

70 ფოთის საარჩევნო ოლქში, 16 მაისს ქალაქის ცენტრში საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციამ გამართა ავტორბოლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ფოთის ხელისუფლების წარმომადგენლები (მაგ. ვიცე მერი, რომელიც არის ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებელი), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატები და ამავე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიის წარმომადგენლები. სტარტთან გაკრული იყო დიდი ბილბორდი წარწერით „მე მიყვარს ფოთი“ და იქვე ნომერი ხუთი⁵. „სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს საარჩევნო ადმინისტრაციას გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული ფაქტი და იმ შემთხვევაში, თუ ბილბორდის დამზადება მოხდა ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს „საარჩევნო კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ამავე კოდექსის 76²-მუხლის შესაბამისად მოხდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირების დაჯარიმება.

⁵ იხილეთ თანდართული სურათი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

წინასაარჩევნო პერიოდში თბილისსა და სხვა ქალაქებში დაფიქსირდა წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსება საცხოვრებელი კორპუსების ტერიტორიებზე. მოგახსენებთ, რომ საცხოვრებელ კორპუსებში ასეთი ტიპის მასალის განთავსებაზე გადაწყვეტილების მიღება ამავე კორპუსების ე.წ. „ამხანაგობების“ პრეროგატივაა და შესაბამისად მათთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს. სამართლიანმა არჩევნებმა“ გადაამოწმა ასეთი ფაქტები და შეეცადა გაერკვია იყო თუ არა შეთანხმება/ხელშეკრულება კორპუსის „ამხანაგობებსა“ და საარჩევნო სუბიექტებს შორის. ამასთან, ორგანიზაციამ ოფიციალური წერილით მიმართა საარჩევნო სუბიექტებს არსებული ხელშეკრულებების თაობაზე.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ გადაამოწმა საცხოვრებელი კორპუსები თბილისსა და ქუთაისში. წარმოგიდგინებთ მონიტორინგის შედეგებს: რიგ შემთხვევებში „ამხანაგობების“ თავმჯდომარეების განცხადებით გაფორმებულია ხელშეკრულება ამხანაგობასა და საარჩევნო სუბიექტს შორის. რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებები არ გაფორმებულა. ხოლო უმეტეს შემთხვევებში ასეთი ტიპის ხელშეკრულებების გაფორმების საჭიროება თუ არსებობს „ამხანაგობების“ თავმჯდომარეებმა არ იციან. მაგალითად: # 5სსნის საარჩევნო ოლქში, ვაზისუბნის დასახლების # 17 კორპუსის სადარბაზოში გამოკრულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატის ზურაბ გაჩეჩილაძის პლაკატი; ვაზისუბნის დასახლების # 5 კორპუსის სადარბაზოში გამოკრულია „ივანიშვილი-სახალხო დემოკრატიის“ მაჟორიტარი კანდიდატის შოთა ხაბარელის პლაკატი. ხელშეკრულებები ამასთან დაკავშირებით არ გაფორმებულა ამხანაგობების თავმჯდომარეებთან; # 59ქუთაისის საარჩევნო ოლქში, ქ. ბუხაიძის # 3, # 5, # 6, # 8, # 13, # 16, # 17, # 19 კორპუსების სადარბაზოებში გამოკრულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატის ტარიელ მესხის პლაკატები. აღნიშნული კორპუსების ამხანაგობათა თავმჯდომარეებიდან, მხოლოდ # 8 კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისცა ზეპირი თანხმობა საარჩევნო სუბიექტს პლაკატების გაკვრასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ხელშეკრულებას, ასეთი ხელშეკრულება არცერთი კორპუსის „ამხანაგობასთან“ არ არის გაფორმებული.

სააგიტაციო მასალის დაზიანება

საარჩევნო სუბიექტისთვის საარჩევნო მასალის დაზიანების ფაქტები დაფიქსირდა # 59 ქუთაისის, # 60 ოზურგეთის, #62 ჩოხატაურისა და # 70 ფოთის საარჩევნო ოლქებში. კერძოდ:

59 ქუთაისის საარჩევნო ოლქში, 15 მაისს ნიკვას საარჩევნო ოლქში „ალიანსი საქართველოსთვის“ მაჟორიტარმა კანდიდატმა - ვიკა ნაკაშიძემ მოაწყო ბრიფინგი, წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის დაზიანებასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით წინა სადამოს, ანუ 14 მაისს პარტიის წარმომადგენლებმა გააკრეს პოსტერები, მეორე დღეს კი გაკრული 300 პოსტერიდან დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი - პოლიციის განყოფილებასთან.

#62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქში # 6 გოგოლეს საარჩევნო უბანში, სოფლის ცენტრში „ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ გაკრული პოსტერები 40 წუთის შემდეგ იქნა

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

ჩამოხეული. 11 მაისს „ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობის“ ჩოხატაურის ორგანიზაციის თავმჯდომარის განცხადებით პოსტერები ასევე ჩამოხიეს სოფელ ხიდისთავსა და მოედანს ცენტრში.

60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქში 12 მაისს, დამის 01:00 საათზე ეროვნული საბჭოს ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა და ამავდროულად ეროვნული საბჭოდან # 1 საარჩევნო ოლქში საკრებულოს მაჟორიტატობის კანდიდატმა ლელა ნაცვალაძემ დააზიანა (ჩამოხია) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სააგიტაციო მასალა - პოსტერი, რომელიც აღნიშნული ქალბატონის სახლის წინ იქნა გაკრული ბოძზე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ხათუნა სალუქვაძემ ამასთან დაკავშირებით განცხადება შეიტანა **# 60 ოზურგეთის** საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა განცხადება და ეროვნული საბჭოს წარმომადგენელს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 126¹⁹ მუხლის თანახმად დაეკისრა ფულადი ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. ქალბატონს განემარტა, რომ ბოძი არის სახელმწიფო საკუთრება და კანონის მიხედვით მასზე სააგიტაციო მასალის გაკვრა არ არის აკრძალული. ლელა ნაცვალაძემ ხელი არ მოაწერა ოქმს და აპირებს აღნიშნული ფაქტის სასამართლოში განხილვას.

„სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს საარჩევნო ადმინისტრაციას, რომ იმ შემთხვევაში თუ განცხადება/საჩივარი არ იქნება შეტანილი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, საარჩევნო ადმინისტრაციამ თავისი ინიციატივით გამოიძიოს მსგავსი ფაქტები. შესაბამისად, საარჩევნო კოდექსის 126¹⁹ მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა დაეკისროს ყველა სუბიექტს, რომელიც შეეცდება წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის გამოყენების ხელისშემლას.

სხვა

14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში 11 მაისს, მოხდა ინციდენტი (სიტყვიერი შეურაწყოვა) - ჟურნალისტ ილია მარტყოფლიშვილისა და „ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობის“ წევრს - დავით ალუდიშვილს შორის, რაც გამოიხატა ჟურნალისტის მიმართ სიტყვიერ შეურაწყოფის მიყენებაში. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტმა გაავრცელა ინფორმაცია და საჩივარი შეიტანა ფიზიკური შეურაწყოფის მიყენების ფაქტზე. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლის განცხადებით, მას პრეტენზია ჰქონდა ჟურნალისტთან არარეგულარული ინფორმაციის ინტერნეტწყაროს საშუალებით გავრცელებასთან დაკავშირებით. დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში ჟურნალისტ ილია მარტყოფლიშვილისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშემლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 154-ე მუხლით აღიძრა, თუმცა მსვლელობა არ მიეცა, რადგან ფიზიკური შეურაწყოფის ფაქტი არ დასტურდება. აღნიშნულ ფაქტს შეესწრო „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორი.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგები

11 ახმეტის საარჩევნო ოლქში, 20 მაისს ჩატარებულ ტრენინგზე (# 11, # 13 საუბნო საარჩევნო კომისიების ტრენინგები), ცენტრალური საარჩევნო კომისიის ერთ-ერთმა ტრენინგმა ალექსანდრე ჯუგაშვილმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ტრენინგის მონაწილეებს. კერძოდ, მან განმარტა, რომ არჩევნების დღეს ამომრჩეველმა კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ღიად უნდა აჩვენოს საარჩევნო უბანზე მყოფ პირებს, თუ რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა.

6 ზხოროწყუს საარჩევნო ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი ვალერი გულუა, კანდიდატობის პარალელურად იყო კომისიის წევრთა ტრენინგი. თუმცა ფაქტის გახმაურების შემდეგ, მან 13 მაისს უარი თქვა ტრენინგობაზე.

ზემოთ მოყვანილი ორი ფაქტის გათვალისწინებით „სამართლიანი არჩევნები“ ექვეყნე აყენებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ტრენინგთა შერჩევის კრიტერიუმებს. „სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რათა მან დაუყოვნებლივ ჩამოაშოროს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების ტრენინგებს ეს პიროვნებები და მაქსიმალურად უზრუნველყოს ზემოთაღნიშნული ტრენინგების მიერ ჩატარებული ტრენინგების მონაწილეთათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს და საბოლოო ანგარიშს, წინასაარჩევნო პერიოდის დაკვირვებასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 2010 წლის 29 მაისს.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

დანართი I

2010 წლის 16 მაისს, ქალაქ ფოთში გამართული ავტორბოლა, წარწერით „მე მიყვარს ფოთი“ + 5



სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

დანართი II

საგზაო ნიშანზე გაკრული საარჩევნო სააგიტაციო მასალა, # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქი



სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

დანართი III

საარჩევნო სააგიტაციო მასალა, საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაზე, # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქი



სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge